ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3533547

ნომერი: AR1537629

თარიღი : 06.09.2017

გაცემის თარიღი : 12.09.2017

გაცნობის თარიღი : 12.09.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მოედანი საარბრუკენი ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ანა ჩეჩელაშვილი პ/ნ 01008040997
- საქართველო, ქალაქი თბილისი, იოველ ქუთათელაძეს ქუჩა, N 5

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

I კლასის – არსებულ სამშენებლო ღობეზე საიმიჯო ბანერების დროებით (2017 წლის 13 სექტემბრიდან 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით) განთავსების სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენი 2017 წლის 6 სექტემბრის AR1537629 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში (სექტორი - ჩუღურეთი), საარბრუკენის მოედანზე, შ.პ.ს. "ჯი ემ თი სასტუმროების"-ს საკუთრების მიწის ნაკვეთზე არსებულ სამშენებლო ღობეზე საიმიჯო ბანერების დროებით (2017 წლის 13 სექტემბრიდან 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით) განთავსების სამუშაოების განხორციელებას.

თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის სამუშაოებს, რომელსაც არ ესაჭიროება მშენებლობის ნებართვა და რომლის განხორციელების შესაძლებლობას სამსახური ადასტურებს წერილობით.

''მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების თანახმად, სამსახურმა შეამოწმა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის (შ.პ.ს. "ჯი ემ თი სასტუმროების"-ს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და საკადასტრო გეგმა; რეგისტრაციის N 882016309439, 19.05.2016 წ. საკადასტრო კოდი N 01.16.05.035.001; მინდობილობა; გენგეგმა; არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტომასალა, საპროექტო ფოტომონტაჟი) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში(სექტორი - ჩუღურეთი), საარბრუკენის მოედანზე, შ.პ.ს. "ჯი ემ თი სასტუმროების"-ს საკუთრების მიწის ნაკვეთზე არსებულ სამშენებლო ღობეზე საიმიჯო ბანერების დროებით (2017 წლის 13 სექტემბრიდან 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით) განთავსების სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას.

გაითვალისწინეთ, რომ თუ განსახორციელებელი სამუშაოები ეხება შენობა-ნაგებობის მზიდ კონსტრუქციებს, სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე უნდა მოიპოვოთ შესაბამისი დასკვნა განსახორციელებელი სამუშაოების უსაფრთხოების შესახებ.

ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.

სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.

აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge